

ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურებების მიწოდების

სააბონენტო ხელშეკრულება

ერთი მხრივ შპს „მალტისოფტი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: 405059289, მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, იური გაგარინის ქ. N24 სართული 4 (შემდგომში „კომპანია“),

მეორე მხრივ, შპს „სერვისბოქსი“, დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო კოდი: 405113176, მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, იური გაგარინის ქ. N24 სართული 4 (შემდგომში „სერვისბოქსი“),

და მესამე მხრივ, მხრივ ფიზიკური / იურიდიული პირი _____, პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო ნომერი _____, მისამართი _____ ტელ _____ (შემდგომში „აბონენტი“)

ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე, ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურებების მიწოდების სააბონენტო ხელშეკრულებას (შემდგომში „სააბონენტო ხელშეკრულება“/“ხელშეკრულება“) და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. აბონენტი ადასტურებს, რომ ის გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულებას და მის დანართებს, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს და შედგება „სააბონენტო ხელშეკრულების ძირითადი წესებისა და პირობების“ და მომსახურების „სატარიფო გეგმისგან“.
2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ, სანამ არ მოხდება მხარეთა მიერ მისი შეწყვეტა.
3. აბონენტს ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურებებისთვის განკუთვნილი "ტექნიკური მოწყობილობები" გადაეცემა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4. მომსახურების ტარიფების, პირობების, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის და სხვა პირობების შესახებ აბონენტის მიერ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.mart.tv ან/და ცხელ ხაზზე: 2100100 / 2100200.
5. წინამდებარე ხელშეკრულებას შესაძლებელია ხელი მოაწეროს აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებმა სხვა პირმა. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ აღნიშნულ პირს გააჩნია ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სრული უფლებამოსილება „აბონენტისაგან“. ამ შემთხვევაში მიეთითება აღნიშნული პირის:

სახელი, გვარი _____, პირადი ნომერი _____

სააბონენტო ხელშეკრულების ძირითადი წესები და პირობები

1. ტერმინთა განმარტება

თუ „ხელშეკრულებით“ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, აღნიშნულ ტერმინებსა და გამოთქმებს ექნებათ შემდეგი მნიშვნელობები:

- 1.1. „აბონენტი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, სახელმწიფო ორგანო ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი (რომელიც წარმოადგენს ბოლო მომხმარებელს და რომელსაც ეკრძალება „მომსახურების“ შემდგომი გადაყიდვა ან/და სხვაგვარად „მესამე პირებისათვის“ მიწოდება), რომლის სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე „ხელშეკრულებაში“.
- 1.2. „აბონენტისთვის გამოყოფილი საიდენტიფიკაციო კოდი“ – აბონენტისთვის მინიჭებული პაროლი (ასობების/ციფრების კომბინაცია), რომელიც ემსახურება მის იდენტიფიცირებას და რომლის მინიჭების და გამოყენების პირობები მოცემულია „კომპანიის“ ვებ გვერდზე.
- 1.3. „ანგარიში“ – „კომპანიის“ მიერ „აბონენტის“ სახელზე გახსნილი ვირტუალური პირადი ანგარიში, რომელზეც ხდება გაერთიანებული მომსახურებების ღირებულების დარიცხვა ან/და გადახდა/წინასწარ გადახდა.
- 1.4. „აბონენტის მისამართზე მცხოვრები პირი“ – აბონენტის მისამართზე მუდმივად ან დროებით მცხოვრები პირი, რომელიც უზრუნველყოფს „კომპანიის“ წარმომადგენლის (ინსტალატორის) დაშვებას მომსახურების მიწოდების მისამართზე.
- 1.5. „კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა“ – განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალების გამოყენებით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული;
- 1.6. „ინსტალაცია“ – „კომპანიის“ მიერ „ტექნიკური საშუალებების“ ინსტალაციის და „მომსახურების“ გაწვევისათვის აუცილებელი სამუშაოები.
- 1.7. „ინსტალაციის ღირებულება“ – განისაზღვრება დანართ(ებ)ში.
- 1.8. „ინტერნეტ მომსახურების ხარისხის პარამეტრები“ – მაქსიმალური სიჩქარე (მგ/წმ-ში), ფაქტობრივად ხელმისაწვდომი სიჩქარე (მგ/წმ-ში), მინიმალური სიჩქარე (მგ/წმ-ში), დაყოვნება (მილი/წამებში), ჯიტერი (მილი/წამებში), დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი (პროცენტებში), რომელთა მოცემულობა განსაზღვრულია კომპანიის მიერ ტექნოლოგიებისა და სააბონენტო პაკეტების მიხედვით და მოცემულია სააბონენტო ხელშეკრულების შესაბამის სატარიფო დანართებში;
- 1.9. „კომისია“ – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
- 1.10. „კანონმდებლობა“ – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.
- 1.11. „მომსახურება“ – „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ელექტრონული საკომუნიკაციო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურება.
- 1.12. „მომსახურების სატარიფო გეგმა/„სატარიფო გეგმა“ – „აბონენტის“ მიერ არჩეული კონკრეტული „მომსახურების“ პაკეტი/გეგმა (რაც მათ შორის, მოიცავს „მომსახურების“ ღირებულებას, პირობებს და „მომსახურებაში“ შემავალ სერვისებს). „სატარიფო გეგმის“ დეტალური ჩამონათვალი/აღწერილობა მოცემულია სატარიფო ცხრილში, რომელიც წარმოადგენს „ხელშეკრულების“ დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.
- 1.13. „მომსახურების ღირებულება“ – „ხელშეკრულების“ დანართებით გათვალისწინებული „მომსახურების“ ღირებულება, რომელიც მათ შორის მოიცავს მე-6 პუნქტით განსაზღვრულ გადასაცემი/გადაცემული „ტექნიკური საშუალებების“ სარგებლობაში გადაცემის ღირებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 1.14. „მიღება-ჩაბარების აქტი“ – „მხარეთა“ მიერ ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება „აბონენტისთვის“ „ტექნიკური საშუალებების“ გადაცემის, შეცვლის ან/და „აბონენტის“ მიერ „კომპანიისთვის“ უკან დაბრუნების ფაქტი, ასევე, აბონენტის წინასწარი მოთხოვნის შემთხვევაში – „მომსახურების“ ან/და მასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურების გაწვევის ფაქტი.
- 1.15. „მესამე პირი“ – ნებისმიერი პირი, გარდა „აბონენტისა“ ან/და „კომპანიისა“.
- 1.16. „მხარე/მხარეები“ – „აბონენტი“ ან/და „კომპანია“, კონტექსტის შესაბამისად.
- 1.17. „პირი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი.
- 1.18. „პინ კოდი“ – ციფრების კომბინაცია, რომელიც ემსახურება აბონენტის იდენტიფიცირებას და რომლის მინიჭებისა და გამოყენების პირობები მოცემულია „კომპანიის“ ვებ გვერდზე.
- 1.19. „პირადი ნომერი“ ან „პირადი ანგარიში“ – „კომპანიის“ მიერ „აბონენტისთვის“ მინიჭებული პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც გაერთიანებულია ერთი ან/და რამდენიმე „მომსახურება“ და რომელზეც ხორციელდება „მომსახურების ღირებულების“ დარიცხვა ან/და გადახდა/წინასწარ გადახდა.
- 1.20. „პრომო აქცია“ – „კომპანიის“ მიერ შესაბამისი „მომსახურებების ღირებულების“ ან/და „მომსახურების“ სხვა მახასიათებლების დროებითი ცვლილება ამგვარი „პრომო აქცია(ებ)ის“ ფარგლებში და ვადით.
- 1.21. „სააბონენტო გადასახდელი“ – „კომპანიის“ მიერ „მომსახურების“ მიღების უფლებისათვის და/ან „მომსახურებისთვის“ დაწესებული შესაბამისი პერიოდული გადასახდელი;

1.22. „რეგლამენტი“ – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი“.

1.23. „სამუშაო დღე“ – დღე, შაბათის, კვირის ან „კანონმდებლობით“ დადგენილი ოფიციალური უქმე დღეების გარდა.

1.24. „საკონტაქტო ინფორმაცია“ – „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებაში“ დაფიქსირებული ფიქსირებული/მოზილური კავშირის ნომერი ან ელექტრონული ფოსტა.

1.25. „სადემარკაციო წერტილი“ – წერტილი, სადაც ხდება „კომპანიის“ და „აბონენტის“ პასუხისმგებლობის გამიჯვნა.

1.26. „ტრაფიკი“ – საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით, დროის მოცემულ მონაკვეთში გადაცემული მონაცემების (სიგნალების, გზავნილების, პაკეტების და ა.შ.) ერთობლიობა.

1.27. „ტექნიკური საშუალებები“ – ტექნიკური საშუალებები და სხვადასხვა სახის ძირითადი თუ დამხმარე მოწყობილობები, რომელთა მიღებისა და გამოყენების წესი მოცემულია „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლში ან/და დანართებში;

1.28. ხარისხიანი მომსახურება – უწყვეტად (გარდა „ხელშეკრულებითა“ და კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლის შემთხვევებისა) მიწოდებული მომსახურება „კომპანიის“ მიერ შეთავაზებული მომსახურების პაკეტის ან/და მოცულობის შესაბამისად.

2. „ხელშეკრულების“ საგანი

წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, „კომპანია“/„სერვისპროქსი“ „აბონენტს“ გაუწევს ინტერნეტ საკომუნიკაციო და მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებას, რომლის დეტალური პირობები მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართში.

3. „მომსახურების“ ღირებულება, ანგარიშსწორების წესი და პასუხისმგებლობა

3.1. „კომპანიის“ და „სერვისპროქსის“ მიერ „აბონენტისათვის“ მიწოდებული „მომსახურებების“ („კომპანიის“ მომსახურება - ინტერნეტ საკომუნიკაციო მომსახურება; „სერვისპროქსის“ მომსახურება - მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურება) ღირებულება და გადახდის პირობები განისაზღვრება წინამდებარე „ხელშეკრულებით“;

3.2. აბონენტის მიერ „მომსახურების ღირებულების“ გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, შემდგომი გადახდის სისტემით, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვის ჩათვლით, ხელშეკრულებაში მითითებულ გადახდის თარიღამდე. ანგარიშსწორება წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, „კომპანიის“ ანგარიშზე გადარიცხვით, „აბონენტს“ ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი თანხის გადახდა შეუძლია „tbc pay“-ს და საქართველოს ბანკის სწრაფი გადახდის აპრატებიდან („მარტივის“ დილაკის ქვეშ).

3.3. თუ „მომსახურების ღირებულება“ „ხელშეკრულებაში“ ან/და მის დანართებში განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში, „მომსახურების ღირებულება“ უნდა დაანგარიშდეს და გადახდილი იქნეს დარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. დარიცხვის დღედ ითვლება კალენდარული თვის ბოლო კალენდარული დღე.

3.4. „აბონენტის“ მიერ თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხა ჩაირიცხა/აისახა „კომპანიის“ საბანკო ანგარიშზე.

3.5. „აბონენტი“ აცხადებს თანხმობას, რომ მის ანგარიშზე არსებული ნებისმიერი დავალიანების მესამე პირის მიერ დაფარვის (ერთჯერადად ან განვადებით) ან/და მომსახურების აღდგენის მიზნით, საჯარო იყოს „აბონენტის“ ანგარიშზე არსებული დავალიანების ჯამური ოდენობის შესახებ ინფორმაცია („პერსონალური ინფორმაცია“), ასევე შესაძლებელი იყოს მესამე პირის მიერ დავალიანების დაფარვა (ერთჯერადად ან განვადებით) ან/და მომსახურების აღდგენა, ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე. აბონენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მის ანგარიშზე არსებული ჯამური დავალიანების შესახებ ინფორმაციის („პერსონალური ინფორმაციის“) მესამე პირებზე გაცემის შეზღუდვა.

3.6. „კომპანია“ უფლებამოსილია აბონენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოთხოვნა დაუთმოს მესამე პირს (მაგალითად, საბანკო დაწესებულებას) და გადასცეს მას აბონენტის დავალიანების შესახებ მონაცემები.

3.7. სატელევიზიო პაკეტების შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს (დაემატოს, გაითიშოს ან ჩანაცვლდეს არხები) ნებისმიერ დროს, სხვა დანარჩენი პირობების შეცვლით ან უცვლელად (კომპანიის/„სერვისპროქსის“ გადაწყვეტილებით), რის თაობაზეც აბონენტს ეცნობება წინასწარ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე (ფასის უცვლელად არხების დამატებისა), ხოლო ტარიფის ცვლილების (გაზრდის) თაობაზეც აბონენტს ეცნობება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე;

3.8. დამატებითი პაკეტის/ არხის არჩევის შემთხვევაში, შესაბამისი ღირებულების დარიცხვა მოხდება პაკეტის/არხის გააქტიურებისთანავე, ხოლო გადახდა მოხდება სააბონენტო გადასახდელთან ერთად.

3.9. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურება რეგისტრირებულია ახალ ანგარიშზე, ინსტალაციის ღირებულების გადახდა ხდება სერვისის მოწყობიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.10. ტექნიკური მოწყობილობები აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში და წარმოადგენს „კომპანიის“ (ONT მოდემი) / „სერვისპროქსის“ (ტელევიზიის დეკოდერი) საკუთრებას (გარდა დამატებით ტელევიზიის პულტისა), რომელთა კომპანიისთვის (სერვის ცენტრში) მიტანის გზით დაბრუნების ვალდებულება აბონენტს წარმოეშობა ხელშეკრულების შეწყვეტამდე, შეწყვეტის დღისთვის არსებული დავალიანების სრულად დაფრავასთან ერთად.

4. „მომსახურების“ შეზღუდვა, შეწყვეტა, აღდგენა, დროებით შეჩერება

4.1. მომსახურების შეზღუდვა, შეწყვეტა, აღდგენა და დროებით შეჩერება ხორციელდება ამ „ხელშეკრულების“ და „რეგლამენტის“ პირობების შესაბამისად.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეზღუდვა/შეწყვეტა დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულებით და „რეგლამენტი“ დადგენილ შემთხვევებში, მათ შორის აბონენტის მიერ „კომპანიისთვის“ გადასახდელი თანხების, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას.

4.3. „კომპანია“ უფლებამოსილია „აბონენტს“ დაუყოვნებლივ შეუწყვიტოს მომსახურება, თუ არსებობს ეჭვი, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გამოყენებულია „ფროდის“ მიზნებისთვის, დაკავშირებულია „ფროდთან“ ან/და აბონენტის მიერ ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მესამე პირებისთვის მიყიდვა/გადაცემა.

4.4. „კომპანია“ უფლებამოსილია სხვა ოპერატორთან და/ან სხვა პირთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ოპერატორისგან და/ან პირისგან „აბონენტის“ მიერ მიღებული ელექტრონული საკომუნიკაციო და/ან სხვა მომსახურების საფასურის გადახდა მოსთხოვოს „აბონენტს“ და გადაუხდელობის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ ან/და „რეგლამენტის“ შესაბამისად განახორციელოს „მომსახურების“ შეზღუდვა ან/და შეწყვეტა;

4.5. თუ „აბონენტი“ მიმართავს კომპანიას და ითხოვს ხელშეკრულების/ მომსახურების შეწყვეტას, „კომპანია“ ვალდებულია შეუწყვიტოს აბონენტს ხელშეკრულება და მიწოდებული მომსახურება.

4.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მომსახურების/ხელშეკრულების შეწყვეტისას, აბონენტი ვალდებულია „კომპანიას“ დაუბრუნოს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ტექნიკური საშუალებები, ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის მიერ არ მოხდება ტექნიკური საშუალებების კომპანიისთვის დაბრუნება, ან დაბრუნებული ტექნიკური საშუალებები იქნება დაზიანებული/გაუმართავი, ჩაითვლება რომ აბონენტმა შეისყიდა ტექნიკური საშუალებები, რისთვისაც მას დაუყოვნებლივ, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვისთანავე გადასახდელად დაერიცხება დარიცხვის მომენტში ტექნიკური საშუალების სარეალიზაციო ღირებულება, რომელიც აბონენტმა უნდა გადაიხადოს დარიცხვიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

4.7. თუ გადასახდელად დარიცხვიდან 1 (ერთი) წლის ვადაში, აბონენტის/მესამე პირის მიერ განხორციელდება კომპანიის "ტექნიკური საშუალებების" კომპანიისათვის დაბრუნება, 4.6 პუნქტში მითითებული დარიცხვა უქმდება.

4.8. **მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულების** დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო კალენდარული დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მომსახურება იზღუდება **არასრული 3 (სამი) თვის** (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე დარჩენილ პერიოდს დამატებული სრული ორი კალენდარული თვე) ვადით.

4.9. **მომსახურების შეზღუდვიდან არასრული 3 (სამი) თვის მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვში** დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება.

4.10. მომსახურებების აღდგენა შესაძლებელია მომსახურებების შეწყვეტამდე პერიოდში, ნებისმიერ დროს, დავალიანების სრულად დაფარვის პირობით.

4.11. დაუშვებელია მხოლოდ ინტერნეტ ან მხოლოდ სატელევიზიო მომსახურების შეწყვეტა - ერთ-ერთი მომსახურების შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში ან დავალიანების დადგენილ ვადაში არასრულად გადახდის შემთხვევაში, აბონენტს შეუწყდება ორივე მომსახურების მიწოდება და სრულად შეწყდება წინამდებარე „ხელშეკრულება“; ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს „კომპანიას“ კუთვნილი მოწყობილობები (ოპტიკური ONT მოდემი და ტელევიზიის დეკოდერი).

4.12. მომსახურების დროებით შეჩერების მაქსიმალური პერიოდი მომსახურების დროებით შეჩერების დღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული 11 (თერთმეტი) თვე; აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თუ აბონენტს სურს მომსახურების დროებით შეჩერების გაგრძელება, იგი ვალდებულია ხელახლა დააფიქსიროს თავისი მოთხოვნა აღნიშნულის თაობაზე (სერვის-ცენტრში მისვლით ან ცხელ ხაზზე დარეკვითა და კოდური სიტყვის დასახელებით). დროებით შეჩერების ზემოაღნიშნული მაქსიმალური ვადის ამოწურვისას - მომსახურების განუახლებლობის შემთხვევაში ავტომატურად აღდგება შეჩერებული მომსახურება. დროებით შეჩერების ღირებულების (აბონენტის დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობის) დაკავების ყოველთვიური ღირებულება) გადაუხდელობის შემთხვევაში, შეწყდება დროებით შეჩერების მომსახურება და შეჩერებული მომსახურებები გადავა შეზღუდვის რეჟიმში; დროებით შეჩერების ყოველთვიური ღირებულების დარიცხვა და გადახდა ხორციელდება შეჩერებული მომსახურებების ყოველთვიური სააბონენტოს გადახდის წესის მსგავსად; მომსახურების დროებით შეჩერებისთვის აუცილებელია, მომსახურების შესაბამის სააბონენტო ანგარიშზე არ ირიცხებოდეს მინიმალური (წინა დასრულებული თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით დარიცხული) დავალიანება.

5. დაზიანების აღმოფხვრა და ვადები

5.1. „კომპანიის“ მიერ დაზიანების აღმოფხვრა ხორციელდება „რეგლამენტის“, „ხელშეკრულებისა“ და მისი დანართების პირობების შესაბამისად, ხოლო სატელევიზიო სიგნალის დაზიანების აღმოფხვრა „კომპანიის“ მიერ განხორციელდება „აბონენტის“ მიერ განაცხადის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 48 საათისა.

5.2. „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დროებით შეაჩეროს ან/და შეზღუდოს „მომსახურება“ პროფილაქტიკური სამუშაოების განახორციელებლად, „რეგლამენტი“ დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3. ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, „აბონენტის“ მიერ **წერილობითი განცხადება** წარდგენილი უნდა იქნეს „კომპანიის“ სერვის-ცენტრში ან **ზეპირსიტყვიერი შეტყობინება** უნდა განხორციელდეს სატელეფონო მომსახურების ცენტრის **ცხელ ხაზზე: 2100100 / 2100200.**

5.4. „მომსახურებასთან“ დაკავშირებული საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა ხდება „კომპანიის“ მიერ „ხელშეკრულებისა“ და „რეგლამენტი“ დადგენილი წესის შესაბამისად. „კომპანია“ ვალდებულია „აბონენტის“ ზემოაღნიშნული განაცხადის მიღებიდან „რეგლამენტის“ 18¹ მუხლით გათვალისწინებულ ვადებში აღმოფხვრას დაზიანება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ტიპის დაზიანების აღმოფხვრის ვადას „რეგლამენტი“ არ ითვალისწინებს, „კომპანია“ უფლებამოსილია აღმოფხვრას დაზიანება „აბონენტისაგან“ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 6 კალენდარული დღისა.

6. აუცილებელი საინსტალაციო სამუშაოები და მისი ღირებულება

6.1. „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ ადასტურებს, რომ თანახმაა „კომპანიის“ მიერ განხორციელდეს ნებისმიერი საინსტალაციო სამუშაო, რომელიც აუცილებელია „მომსახურების“ გასაწევად და იღებს უპირობო ვალდებულებას ნებისმიერი სახის მოთხოვნაზე, სარჩელსა ან/და სხვა სახის პრეტენზიაზე (რაც მათ შორის მოიცავს იმ პირების მოთხოვნებს ან/და პრეტენზიებს, რომელთა საკუთრებაზეც განხორციელდა ამგვარი საინსტალაციო სამუშაოები), რომელიც წამოყენებულ შეიძლება იქნას „კომპანიის“ მიმართ საინსტალაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ან/და მის შემდგომ პერიოდში. ამასთანავე, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ თუკი საინსტალაციო სამუშაოების შეფერხება/შეუსრულებლობა გამოწვეულია „კომპანიის“ მიმართ ამგვარი მოთხოვნების წაყენებით, რაც იწვევს „კომპანიის“ მიერ ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობას/შეფერხებას, „კომპანია“ სრულად თავისუფლდება ამგვარი შეუსრულებლობით/შეფერხებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. „მხარეები“ ასევე თანხმდებიან, რომ თუ „აბონენტის“ მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა შეაფერხებს ან/და საფრთხეს შეუქმნის „მესამე პირებისათვის“ „კომპანიის“ მომსახურების მიწოდებას, „აბონენტი“ ვალდებული იქნება „კომპანიას“ სრულად აუნაზღაუროს მომსახურების ამგვარი შეფერხების შედეგად „კომპანიისათვის“ მიყენებული ზიანი ან/და ზარალი.

6.2. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „მომსახურების ღირებულება“ ასევე მოიცავს „მომსახურების“ გააქტიურების ან/და „ტექნიკური საშუალებების“ (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) დროებით სარგებლობაში გადაცემის ღირებულებას, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული „ხელშეკრულებით“ ან/და მისი შესაბამისი დანართებით.

7. „აბონენტის“ და „კომპანიის“ ძირითადი უფლება-მოვალეობები

7.1. **„აბონენტი“ ვალდებულია/აცხადებს თანხმობას:**

7.1.1. სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების ღირებულება“;

7.1.2. არ დაუშვას მიწოდებული „მომსახურების“ ჩართვა ფროდთან ასოცირებულ საერთაშორისო ან სხვა ფასიანი ტრაფიკის არასანქცირებული გატარების ან/და „ფროდის“ მიზნით განხორციელებულ მოქმედებებსა და სქემებში, ასევე დაიცვას „კომპანიის“ ქსელთან მიერთებული საკუთარი ან დროებით სარგებლობაში გადაცემული ნებისმიერი მოწყობილობა ან/და „ტექნიკური საშუალება“ ნებისმიერი უნებართვო შეღწევისა ან/და გამოყენებისაგან. „აბონენტი“ უპირობოდ აღიარებს აღნიშნული ქმედებების შედეგად, „კომპანიის“ წინაშე წარმოქმნილ ნებისმიერი სახის დავალიანებას ან/და მიყენებულ ზიანს.

7.1.3. შემოსული ან გასული ტრაფიკის შესახებ დავის განხილვისას, დაეთანხმოს მხოლოდ „კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ ჩანაწერებს, თუ მარეგულირებელი ორგანოს/სასამართლოს მიერ სხვა რამ არ დადგინდება.

7.1.4. მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მიღებული მომსახურება და არ დაუშვას კომპანიისაგან მიღებული მომსახურების შემდგომი გადაყიდვა პირდაპირ ან ირიბი ფორმით (მაგალითად, აბონენტების აყვანა ან სხვ.)/ ან ნებისმიერი სხვა ფორმით მესამე პირზე გადაცემა; აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისამართზე განთავსებული უძრავი ნივთი გაქირავებულია/გაცემულია იჯარით და გამქირავებელს დამქირავებლისათვის გადაცემული აქვს მომსახურების მიღების უფლება; ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეუწყვიტოს აბონენტს მიწოდებული მომსახურება/ხელშეკრულება.

7.1.5. აბონენტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონტაქტო ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას „კომპანიის“ მიერ მარკეტინგული ან/და სხვა კანონიერი მიზნებისათვის;

7.1.6. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულოს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ან/და მისი დანართებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.1.7. წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემთხვევაში, „კომპანიას“ დაუბრუნოს დროებით სარგებლობაში გადაცემული „ტექნიკური საშუალებები“ წინამდებარე ან/და კონკრეტული სახის მომსახურების შესაბამის დანართში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით (ასეთის არსებობისას). ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში „ტექნიკური საშუალებების“ დაუბრუნებლობა ან მათი გაუმართავ მდგომარეობაში დაბრუნება ჩაითვლება „ტექნიკური საშუალებების“ „აბონენტის“ მიერ შესყიდვად, რისთვისაც მას გადასახდელად დაერიცხება „ტექნიკური საშუალებების“ ღირებულება, „ხელშეკრულების“ შეწყვეტის მომენტისათვის „კომპანიაში“ არსებული ფასების შესაბამისად.

7.1.8. „ტექნიკური საშუალებების“ ღირებულება „კომპანიას“ გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.1.9. უზრუნველყოს მომსახურებებით სარგებლობა ისე, რომ არ მოხდეს მისი გამოყენება კომერციული ან მსგავსი მიზნებით.

7.2. **„აბონენტი“ უფლებამოსილია:**

7.2.1. შეატყობინოს „კომპანიას“ ნებისმიერი დაზიანების, ასევე ინტერნეტ მომსახურების ხარისხის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ პარამეტრებთან შეუსაბამობის თაობაზე და მოითხოვოს მათი აღმოფხვრა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული / კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

7.2.2. აირჩიოს მისთვის სასურველი „მომსახურების სატარიფო გეგმა“ (პაკეტი) „ხელშეკრულების“ ან/და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3. **„კომპანია“/„სერვისპროვინსი“ ვალდებულია:**

7.3.1. „აბონენტს“ მიაწოდოს „ხარისხიანი მომსახურება“ „ხელშეკრულებით“ და „რეგლამენტით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, დღე-ღამის განმავლობაში უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა გამონაკლისებისა.

7.3.2. „ხელშეკრულებითა“, რეგლამენტითა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 10 მაისის N4 დადგენილებით დამტკიცებული „ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესებით“ განსაზღვრული წესითა და ვადებში აღმოფხვრას მომსახურებასთან დაკავშირებული დაზიანება.

7.3.3. ინდივიდუალური შეტყობინების განხორციელების გზით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში, გააფრთხილოს „აბონენტი“ მომსახურების მოსალოდნელი (დაგეგმილი) შეზღუდვის ან/და „კომპანიის“ ინიციატივით მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

7.3.4. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესარულოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შესრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება; „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ „ხელშეკრულების“ დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება „ხელშეკრულების“ მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაეღებინათ; დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა), აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები), საომარი მოქმედებები (მათ შორის, სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), „ხელისუფლების“ ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს „ხელშეკრულების“ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვ.;

8.2. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედოს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. „ხელშეკრულების“ მხარე, რომლისათვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია შეატყობინოს „ხელშეკრულების“ მეორე მხარეს საჯაროდ ან ინდივიდუალურად. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

9. განცხადებები და გარანტიები

9.1. „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ ადასტურებს, რომ მას გააჩნია სრული უფლებამოსილება გააფორმოს წინამდებარე ხელშეკრულება. ასევე „აბონენტი“ აღიარებს და ადასტურებს, რომ მას მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა თუ ნებართვა, რომელიც აუცილებელია ამგვარი „მომსახურებების“ მის სახელზე დასარეგისტრირებლად (გასაფორმებლად).

9.2. „ხელშეკრულება“ მასში გათვალისწინებული ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა შესასრულებლად „მხარეთა“ უფლებამონაცვლებისა თუ მემკვიდრეებისათვის/ სამართალმემკვიდრეებისათვის.

9.3. „აბონენტს“ არ არის უფლებამოსილი „კომპანიის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს მის მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მასზე მინიჭებული უფლება (გარდა „აბონენტის“ მიერ სააბონენტო თანხის გადახდის ვალდებულებისა). „კომპანიის“ უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად, ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა „კანონმდებლობით“ ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ „აბონენტმა“ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს „კომპანიის“ უფლებას, მიიღოს შესრულება მესამე პირისაგან, მიუხედავად იმისა, თანახმაა თუ არა „აბონენტი“.

9.4. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულების“ შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „ხელშეკრულების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი აზრიდან.

9.5. „აბონენტი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ ის გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულებას მისი დანართებითურთ, ასევე „კომპანიის“ მიერ „მომსახურების“ გაწევის „ხელშეკრულებითა“ და მისი დანართებით გათვალისწინებულ წესსა და პირობებს.

„აბონენტი“ აცხადებს რომ შეასრულებს „ხელშეკრულების“ (მათ შორის დანართების, „ტექნიკური საშუალებების“ „კომპანიისათვის“ უკან დაბრუნების მიღება-ჩაბარების აქტის) პირობებს;

9.6. აბონენტის მიერ „აქციის“ პირობებზე თანხმობის გაცხადების შემთხვევაში, მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი დანართი, რომელიც წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს. აქციის პირობებზე თანხმობის განხორციელება ასევე შესაძლებელია „აბონენტის“ მიერ სატელეფონო ზარისა და „აბონენტისთვის“ გამოყოფილი საიდენტიფიკაციო კოდის“ საშუალებით.

9.7. მხარეები თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ N1 და N2 დანართების პირობებს შორის სხვაობისას, შეზღუდვა/აღდგენა/შეწყვეტა/დროებით შეჩერების საკითხებში უპირატესობა ენიჭება N1 დანართის პირობებს.

9.8. თუ „მომსახურების“ შესაბამისი დანართის პირობებით („ხელშეკრულებით“ ან/და დანართებით) სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, „ხელშეკრულების“ გაფორმებით აბონენტი ყიდულობს „მომსახურებას“ და მას საკუთრებაში არ გადაეცემა რაიმე სახის „ტექნიკური საშუალებები“ ან/და ნივთი, რომლის სარგებლობის უფლების მინიჭებაც ხდება „აბონენტისთვის“ (ამგვარის არსებობის შემთხვევაში);

9.9. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „აბონენტი“ ადასტურებს, რომ მან სრულად და ჯეროვნად მიიღო „კომპანიისაგან“ მის მიერ მოთხოვნილი და „ხელშეკრულების“ დანართებში ასახული მომსახურების ინსტალაციასთან

დაკავშირებული მომსახურება და ამ მომსახურებისთვის საჭირო სხვადასხვა ძირითადი და დამხმარე ტიპის მოწყობილობები („ტექნიკური მოწყობილობები“), რომელთა ჩამონათვალი გათვალისწინებულია შესაბამის დანართებში. აბონენტ იურიდიულ პირებთან „ტექნიკური მოწყობილობების“ გადაცემისა და ინსტალაციის თაობაზე დამატებით ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

9.10. „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების გააქტიურება მოხდება „ხელშეკრულების“ ხელმოწერისა და ტექნიკური სამუშაოების დასრულების დღიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

9.11. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „მხარეები“ აცხადებენ თანხმობას, რომ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ნებისმიერი პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის (ასეთის არსებობისას) დამრღვევი „მხარისათვის“ დაკისრება წარმოადგენს არადამრღვევი „მხარის“ უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას.

9.12. „აბონენტი“ აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის რეკვიზიტები, ზუსტია.

9.13. „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ დაუყოვნებლივ აცნობოს რეკვიზიტების ცვლილების შესახებ „კომპანიის“ სატელეფონო ცხელ ხაზზე, დარეკვით („კომპანიის“ მიერ „აბონენტის“ იდენტიფიცირებით - „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „აბონენტის“ საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით) ან სერვის-ცენტრში წერილობითი განაცხადის საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, „კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას „აბონენტის“ მისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების შედეგად წარმოშობილ ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანსა თუ ზარალზე.

9.14. „კომპანია“ უფლებამოსილია წინამდებარე „სააბონენტო ხელშეკრულების ძირითადი წესების და პირობების“ მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური შეტყობინების გზით „აბონენტისათვის“ მიწოდებული შეტყობინების საფუძველზე „მესამე პირს“ გადასცეს „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი უფლებები ან/და მოვალეობები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „აბონენტი“ წინასწარ წერილობით ან/და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ელექტრონული ფოსტის ან პაროლის გამოყენებით უარს განაცხადებს ასეთ გადაცემაზე. ამასთან, ასეთი გადაცემა უნდა მოხდეს შეტყობინების განხორციელებიდან 45 დღის გასვლის შემდეგ. აღნიშნული ვადის „აბონენტის“ მხრიდან რეაგირების გარეშე გასვლის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება/მოვალეობების გადაცემა მოხდება უპირატესი უფლების მქონე მესამე პირზე, რომელიც ფაქტობრივად სარგებლობს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურებით და აღნიშნულს ადასტურებს „კომპანიისათვის“ გადახდის ქვითრების წარდგენით, ხოლო სხვა შემთხვევაში „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე უფლება/მოვალეობების გადაცემა მოხდება „აბონენტის“ თანხმობით ან მესამე პირის მიერ მომსახურების მიღებაზე სათანადო უფლებამოსილების დადასტურებით. „აბონენტის“ მიერ „მესამე პირზე“ „აბონენტის“ უფლება/მოვალეობების გადაცემა არ გამორიცხავს ამავე „აბონენტისათვის“ მიერ 3 (სამი) წლის განმავლობაში დაფიქსირებული წერილობითი განაცხადის საფუძველზე ამ უფლება/მოვალეობების უკან დაბრუნებას.

10. კომუნიკაცია მხარეებს შორის

10.1. „კომპანიის“ მხრიდან „აბონენტთან“ კომუნიკაცია ხორციელდება „კომპანიის“ ვებ-გვერდის საშუალებით, ინდივიდუალური, მათ შორის წერილობითი, შეტყობინების გაგზავნით „ხელშეკრულებაში“ მითითებულ მისამართზე, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელების, აგრეთვე „კომპანიის“ სერვის ცენტრებში ან/და მომსახურების სხვა წერტილებში შესაბამისი განცხადების განთავსებით, ასევე:

10.1.1. „მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულებაში“ დაფიქსირებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

10.1.2. ავტომატური ან/და არაავტომატური სატელეფონო, ხმოვანი ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებაში“ დაფიქსირებულ ნებისმიერ სატელეფონო ნომერზე (მათ შორის როგორც ფიქსირებული, ასევე მობილური ქსელის ნომერზე).

10.1.3. ტექსტური ანდა აუდიო შეტყობინების მიწოდებით ტელევიზიის მეშვეობით.

10.1.4. ტელეფონოგრამის მეშვეობით;

10.1.5. კანონმდებლობით დადგენილი სხვა საშუალებით/წესით.

10.2. „კომპანიის“ მიერ „აბონენტთან“ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება, ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება, სატელეფონო ნომერზე გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება ან/და ზეპირი სატელეფონო ხმოვანი შეტყობინება ან/და ტექსტური ან/და აუდიო შეტყობინება ტელევიზიის მეშვეობით ჩაითვლება „აბონენტისთვის“ გაგზავნილ ინდივიდუალურ შეტყობინებად.

10.3. „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ შემთხვევებში „კომპანიასთან“ კომუნიკაცია ხორციელდება სატელეფონო ცხელ ხაზზე: **2100100 / 2100200, დარეკვით.**

11. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა

„მხარეები“ „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით თანხმდებიან, რომ ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მათთვის „კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას“ აქვს პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

12. კონფიდენციალურობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა

12.1. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა;

12.2. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება ინფორმაციაზე:

- 12.2.1. რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გარეშე, ცნობილი იყო ინფორმაციის მიმღები მხარისათვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;
- 12.2.2. რომლის გამჟღავნებაც მოხდება მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით უფლებების განსახორციელებლად);
- 12.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა, მათ შორის, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან;
- 12.2.4. რომელიც არის ან გახდება მესამე პირისათვის ხელმისაწვდომი მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, მათ შორის, ამ ხელშეკრულების საფუძველზე;
- 12.2.5. რომლის გადაცემის ვალდებულებაც კომპანიას აქვს უფლებამოსილი ორგანოს (კომისია, სასამართლო, საგამომიებო ორგანოები და ა.შ.) მომართვის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საფუძვლის არსებობისას.
- 12.3. „აბონენტი“ კომპანიას ანიჭებს უპირობო უფლებას, აბონენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის / აქცეპტის გარეშე, აბონენტის შესახებ ინფორმაცია გადასცეს მის „შვილობილ კომპანიებს“ ან სხვა აფილირებულ პირებს, მათ შორის ქვეკონტრატორებს აბონენტისთვის სხვადასხვა ტიპის მომსახურების შეთავაზების მიზნით, იმ პირობით, რომ:
- 12.3.1. ამგვარი ინფორმაცია შემოიფარგლება მხოლოდ იმ ინფორმაციით, რაც აუცილებელია ამგვარი მომსახურების შესათავაზებლად ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად;
- 12.3.2. ინფორმაციის მიმღები პირები დაიცავენ ზემოაღნიშნულ დებულებებს ინფორმაციის კონფიდენციალობასთან დაკავშირებით.
- 12.4. დამკვეთი თანხმობას აძლევს კომპანიას, განახორციელოს დამკვეთის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც გულისხმობს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას, ასევე გამოიყენოს დამუშავებული მონაცემები პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისათვის;
- 12.5. მხარეები თანხმდებიან, რომ „აბონენტისთვის გამოყოფილი საიდენტიფიკაციო კოდი“ და „პინ კოდი“ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის გადაცემასა და დაცვაზეც პასუხისმგებელია „აბონენტი“. შესაბამისად, „აბონენტისთვის გამოყოფილი საიდენტიფიკაციო კოდი“ ან/და „პინ კოდი“ საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ითვლება „აბონენტის“ მიერ განხორციელებულად და ამგვარი ქმედების ნებისმიერ შედეგებზე სრულად და ერთპიროვნულად პასუხისმგებელია „აბონენტი“.
- 12.6. ყოველგვარი ორპიროვნობისა და ეჭვის გამოსარიცხად, აბონენტი ვალდებულია პინ კოდის/„აბონენტისთვის“ გამოყოფილი საიდენტიფიკაციო კოდის გამოყენებამდე გაეცნოს მათი მოხმარების წესებს, რომელიც განთავსებულია კომპანიის ვებ გვერდზე, შესაბამისად, აბონენტის/მომხმარებლის მიერ, ამა თუ იმ პროდუქტის/მომსახურების შეძენის/შეზღუდვის/შეჩერების/გაუქმების მიზნით პინ კოდის/„აბონენტისთვის“ გამოყოფილი საიდენტიფიკაციო კოდის გამოყენება (დასახელება ან პროგრამულად შეყვანა), ნიშნავს რომ აბონენტი/მომხმარებელი სრულად იცნობს და ეთანხმება პინ კოდის/„აბონენტისთვის“ გამოყოფილი საიდენტიფიკაციო კოდის გამოყენების მომენტში შესაბამისი პროდუქტის/მომსახურების შეძენის/შეზღუდვის/შეჩერების/გაუქმების პირობებს.

13. პრეტენზიები და დავები

- 13.1. „ხელშეკრულებიდან“ ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიები „მხარეებმა“ შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად, სატელეფონო კავშირის საშუალებით „აბონენტის“ მიერ წინასწარ შეტყობინებულ საკონტაქტო ნომერზე, „რეგლამენტის“ შესაბამისად.
- 13.2. „ხელშეკრულების“ ან/და „მასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, „ხელშეკრულების“ ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულების მოქმედებასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასა და აღსრულებასთან დაკავშირებით) განიხილება კანონით დადგენილ ვადებში (პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე), შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით.
- 13.3. მორიგების გზით დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, „მხარეები“ მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს.
- 13.4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება „მხარეთა“ მიერ მისი გასაჩივრების მიუხედავად, დაუყოვნებლივ მიქცეული იქნება აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე-1 პუნქტის შესაბამისად.

14. „ხელშეკრულების“ შეწყვეტა

- 14.1. „ხელშეკრულება“ წყდება:
- 14.1.1. **მხარეთა შეთანხმებით;**
- 14.1.2. „კომპანიის“ ინიციატივით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ შემთხვევებში:
- 14.1.2.1. „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში;
- 14.1.2.2. „აბონენტისთვის“ შეწყვეტის თაობაზე ერთი თვით ადრე გაგზავნილი ინდივიდუალური შეტყობინების საფუძველზე.

14.1.2.3. „კომპანიის“ მიერ ხელშეკრულებაში ცვლილებების/დამატებების ცალმხრივად შეტანის თაობაზე „აბონენტისათვის“ გაგზავნილი ინდივიდუალური შეტყობინების მიღებიდან საამისოდ დადგენილ ვადაში „აბონენტის“ მიერ ცვლილებაზე/დამატებაზე უარის დაფიქსირებისას.

14.1.2.4. „აბონენტის“ მიერ „კომპანიისათვის“ გადასახდელი ნებისმიერი თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის ან „ხელშეკრულებით“ ან/და მისი დანართებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში, „კომპანია“ უფლებამოსილია შეუზღუდოს ან/და შეუწყვიტოს „აბონენტისთვის“ მიწოდებული „მომსახურება“.

14.1.2.5. „აბონენტის“ ინიციატივით „ხელშეკრულება“ შესაძლებელია შეწყდეს მიწოდებული „მომსახურების“ სანაცვლოდ გადასახდელი თანხის დაფარვის და სხვა არსებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა და „კომპანიისთვის“ შეწყვეტის შესახებ წერილობითი მიმართვით.

14.1.2.6. აბონენტის გარდაცვალების/ ლიკვიდაციის დამადასტურებელი ცნობის კომპანიის მიერ მოპოვების /კომპანიისთვის წარმოდგენის დღიდან, კომპანია უფლებამოსილია შეწყვიტოს სააბონენტო ხელშეკრულება ან გადააფორმოს შესაბამისი მომსახურებ(ებ) უპირატესი უფლება-ვალდებულებების მქონე მესამე პირზე (რამდენიმე ასეთი პირის არსებობისას – ერთ-ერთის მიმართვისთანავე).

15. ცვლილებები და დამატებები

15.1. „ხელშეკრულებაში“ „კომპანიის“ ინიციატივით (ცალმხრივად) ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობით ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი შეტყობინებით.

15.2. „კომპანია“ უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ, „აბონენტის“ დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, ცალმხრივად, შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღით/ერთი თვით ადრე (შეტყობინების ერთთვიანი ვადა ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ განხორციელებული ცვლილებებით უარესდება აბონენტის მდგომარეობა, ან, კომპანიის მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს აბონენტის გადაწყვეტილებაზე ისარგებლოს კომპანიის მომსახურებით), ხელშეკრულების მე-10 მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე:

15.2.1. შეცვალოს „მომსახურების ღირებულება“ (ტარიფები) ან/და „მომსახურების პაკეტი“;

15.2.2. შეცვალოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი პირობა;

15.3. „კომპანია“ ვალდებულია „აბონენტს“ ინდივიდუალური შეტყობინებით მიაწოდოს ინფორმაცია, მომსახურების პირობების იმგვარი ცვლილების შესახებ, რაც ზრდის მომხმარებელზე დაკისრებული ვალდებულებების მოცულობას ან/და იმგვარად ცვლის მომსახურების პირობებს, რომ აღნიშნულს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე მომსახურების მიღების გაგრძელების თაობაზე, ასევე, ინფორმაცია რეგლამენტით დადგენილი წესით მომსახურების შეზღუდვის ან/და მომსახურების მიწოდების ინიციატივით მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

15.4. „კომპანიის“ მიერ 15.2. პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, თუ „აბონენტი“ „კომპანიის“ მიერ მიღებული შეტყობინებით გათვალისწინებული ცვლილებების ძალაში შესვლის დრომდე არ განაცხადებს წერილობით უარს შეცვლილი პირობების მისთვის მიუღებლობის შესახებ, ჩაითვლება, რომ „აბონენტი“ თანახმაა „კომპანიის“ მიერ შეთავაზებულ ამგვარ ცვლილებებზე, ხოლო დადგენილ ვადაში „აბონენტის“ მიერ უარის გაცხადების შემთხვევაში „კომპანია“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15.5. „ხელშეკრულებაში“ შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

15.6. მოქმედი სატელევიზიო არხების ჩამონათვალს, ასევე ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფების, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციას აბონენტი დამატებით შეიძლება გაეცნოს კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან ცხელ ხაზზე.

16. ზიანის ანაზღაურება და კომპენსაციის მექანიზმები

16.1. „კომპანია“ არ არის პასუხისმგებელი:

16.1.1. „აბონენტის“ მიერ ქსელში გადაცემულ ინფორმაციაზე;

16.1.2. „მომსახურების“ ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია პროგრამული ვირუსით ან „აბონენტის“ ლოკალური ქსელის გაუმართაობით. ეს უკანასკნელი გულისხმობს „სადემარკაციო წერტილიდან“ „აბონენტის“ მხარეს არსებულ დაზიანებას.

16.1.3. „აბონენტი“ აცხადებს თანხმობას, რომ „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია ახალი მომსახურებების, სერვისების, პროექტების და სხვადასხვა სახის აქტივობების შესახებ, მათ შორის, როგორც „კომპანიის“, ასევე მესამე პირის „რეკლამა“, რაც არ გამოიცხადებს აბონენტის უფლებას, უარი განაცხადოს ასეთი რეკლამის მიღებაზე, შესაბამისი განაცხადით.

16.2. „აბონენტი“ უფლებამოსილია მოითხოვოს პირდაპირი ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, თუ ასეთი გამოწვეულია „კომპანიის“ ბრალით ან დაუდევრობით. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც „კომპანიისთვის“ წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამასთან, ზიანი დადასტურებულ უნდა იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. „კომპანიის“ მხრიდან ანაზღაურებას არ ექვემდებარება არაპირდაპირი ზიანის კომპენსაცია, როგორცაა, მაგ: მიუღებელი შემოსავალი ან სხვა შედეგობრივი დანაკარგი.

16.3. „კომპანია“ არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა „აბონენტის“ მიერ მონაცემთა შინაარსის ან სხვა ინფორმაციის გადაცემისას „მომსახურებით“ სარგებლობის პროცესში. გარდა ამისა, „კომპანია“ შეუძლებელია პასუხისმგებელი იყოს ნებისმიერ ისეთ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მონაცემთა ვირუსის, დაგვიანებით გადაცემის, განადგურების ან „აბონენტის“ მონაცემთა დაკარგვის შედეგად, ასევე „აბონენტის“ ბრალით მესამე პირისათვის მიყენებული ზარალის შემთხვევებზე.

16.4. „კომპანია“ უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, თუ იგი გამოწვეულია „აბონენტის“ ან ნებისმიერი მესამე პირის ქმედებით, ვისზეც პასუხისმგებელია „აბონენტი“.

16.5. კომპანია ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებ(ებ)ის არასრულად ან/და ხარვეზებით მიწოდების შემთხვევაში, ასევე მიწოდებული ინტერნეტ მომსახურების **ხარისხის პარამეტრების**, სააბონენტო **ხელშეკრულებითა** და მისი დანართებით განსაზღვრულ ინტერნეტ მომსახურების **ხარისხის პარამეტრებთან შეუსაბამობის შემთხვევაში**, აბონენტის განცხადებისა და მის საფუძველზე კომპანიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, უზრუნველყოს მიწოდებული /უხარისხო მომსახურების საფასურის (რაც გამოითვლება მიუწოდებელი / უხარისხო მომსახურების საანგარიშო თვის სააბონენტო გადასახდელის ერთი დღის პროპორციულ თანხის, მიუწოდებელი/ უხარისხო მომსახურების მიწოდების ყოველ დღეზე ნამრავლით) გამოქვითვა აბონენტის მიერ გადასახდელი მომდევნო თვის საფასურიდან, ან ამ თანხის აბონენტისათვის უკან დაბრუნება, იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების არასრულად/ხარვეზებით მიწოდების გამო წყვეტს კომპანიასთან დადებულ ამ ხელშეკრულებას;

16.6. „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შედეგად, აბონენტის ანგარიშის გაუქმების შემთხვევაში, მის ანგარიშზე არსებული თანხა (აბონენტის მიერ დეპოზიტზე დასმული გაუხარჯავი თანხა) ინახება ხელშეკრულების შეწყვეტიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. აღნიშნული ვადის განმავლობაში, მომსახურების ხელახალი აქტივაციის შემთხვევაში, აბონენტს გაუხარჯავი თანხა უბრუნდება დადებითი ბალანსის სახით. სხვა შემთხვევაში (ანუ როდესაც აბონენტი არ ითხოვს ხელახალ აქტივაციას), აბონენტს თანხა დაუბრუნდება სერვის-ცენტრისადმი წერილობითი განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე (აბონენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტის სახით).“

17. დასკვნითი დებულებები

17.1. „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, თუ დანართით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული. „აბონენტი“, „ხელშეკრულების“ ცალმხრივად შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, ვალდებულია წერილობით მიმართოს „კომპანიის“ სერვის-ცენტრს და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ამავე „ხელშეკრულების“ პირობათა შესაბამისად. ამასთან, „აბონენტი“ ვალდებულია, შეწყვეტის დღესვე, სრულად დაფაროს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის დღისთვის „კომპანიის“ წინაშე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი გადასახდელი თანხა თუ დავალიანება და დააბრუნოს მოწყობილობები.

17.2. „ხელშეკრულების“ რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად „ხელშეკრულების“ ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „ხელშეკრულებით“ (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

17.3. „ხელშეკრულებაში“ მხოლოდ რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.

17.4. „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მიხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავემუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი);

17.5. „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარსს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსთან (განმარტებასთან) დაკავშირებით, არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17.6. „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ თანახმაა მის სახელზე დარეგისტრირდეს/გაფორმდეს ამ „ხელშეკრულებითა“ და დანართებით განსაზღვრული „მომსახურება“. „აბონენტი“ ასევე აცხადებს, რომ მას გააჩნია კანონიერი უფლებამოსილება (ნებართვა/თანხმობა), რაც აუცილებელია ამგვარი „მომსახურების“ მის სახელზე მისაღებად.

17.7. „ხელშეკრულება“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.8. ყველა პირობა, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და სხვა დებულებები, რაც არ არის გათვალისწინებული „ხელშეკრულებით“, ასევე მომსახურების სახეები, ტარიფები, შეზღუდვის, შეწყვეტისა და აღდგენის პირობები, დამატებითი მომსახურების სახეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრულია კონკრეტული სახის „მომსახურების“ შესაბამისი დანართებით.

17.9. მომსახურების სახეების, ტარიფების, შეზღუდვის, შეწყვეტისა და აღდგენის პირობების, დამატებითი მომსახურების სახეების, აქციის პირობებისა და სხვა პირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სს „კომპანიის“ ვებ-გვერდზე, „კომპანიის“ სერვის-ცენტრებში, აგრეთვე „კომპანიის“ სატელეფონო ცხელ ხაზზე.

17.10. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ „მხარეებს“.

„მალტისოფტი“ (კომპანია)

„სერვისბოქსი“

აბონენტი

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

(სახელი, გვარი)

ოპტიკური მომსახურებების (ინტერნეტი და ტელევიზია) სატარიფო გეგმა

(ფასები მოცემულია ლარში და მოიცავს დღგ-ს)

საბონენტო ანგარიშის ნომერი			
კოდური სიტყვა			
ოპტიკური ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურებების პაკეტები (შეთავაზების სტანდარტული ფასით)		ფასი ლარში	
ოპტიკური ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურების საბონენტო პაკეტები		ტარიფები *	
თბილისი		35	
რუსთავი		24	
ყველა სხვა რეგიონი		28	
დამატებითი სატელევიზიო სერვისის ყოველთვიური საბონენტო		6	
ორივე მომსახურების ერთდროულად დროებით შეჩერების ყოველთვიური ღირებულება		5	
ორივე მომსახურებით სარგებლობისას სპეციალური ფასის მქონე პაკეტები			
პაკეტები	პაკეტი 1 (თბილისი)	პაკეტი 2 (რუსთავი)	პაკეტი 3 (სხვა რეგიონები)
ჯამური ფასი	35	24	28
სატელევიზიო პაკეტი	მარტივი ტვ	მარტივი ტვ	მარტივი ტვ
ინტერნეტ მომსახურების პაკეტი/სიჩქარე	სიჩქარე 25 მბ/წმ	სიჩქარე 25 მბ/წმ	სიჩქარე 25 მბ/წმ
სიჩქარე	25 მბ/ წმ	25 მბ/ წმ	25 მბ/ წმ
მაქსიმალური სიჩქარე (მბ/წმ)	25	25	25
ფაქტობრივად ხელმისაწვდომი სიჩქარე (მბ/წმ)	20	20	20
მინიმალური სიჩქარე (მბ/წმ)	5	5	5
დაყოვნება (მილიწამი)	<400	<400	<400
ჯიტერი (მილიწამი)	<50	<50	<50
დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი (%)	<3	<3	<3

<p>ოპტიკური ინტერნეტ და ტვ მომსახურებების ინსტალაციის ღირებულება, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ოთხპორტიანი მოდემის, 1 ცალი ტელევიზიის დეკოდერი (1 ცალი ტელევიზიის დეკოდერი პულტით), 10 მეტრი კაბელი (ტიპის მიხედვით) ინსტალაციას</p>	<p>49 *</p>
<p>მეორე და ყოველი მომდევნო დამატებითი ტელევიზიის დეკოდერის ინსტალაციის ღირებულება</p>	<p>გათვალისწინებულ ია საბონენტო გადასახდელში</p>
<p>ინსტალაციის დამატებითი ღირებულება</p>	
<p>10 მეტრის ზემოთ დახარჯულ ყოველ 1 მეტრ ოპტიკის კაბელზე</p>	<p>0.8</p>
<p>კომპანიის კუთვნილი მოწყობილობების დაკარგვის ან დაზიანებისას აბონენტს დაერიცხება ამ მოწყობილობების ხელმოწერის მომენტისთვის არსებული ღირებულება:</p>	
<p>ოპტიკური ინტერნეტ მოდემი</p>	<p>125</p>
<p>ტელევიზიის დეკოდერი</p>	<p>150</p>

***აქციის ფარგლებში:**

- ინსტალაციის ღირებულება და ინსტალაციისას 10 მეტრის ზემოთ დახარჯული კაბელის ღირებულება გათვალისწინებულია საბონენტო გადასახდელში;
- აბონენტი არ იხდის ჩართვიდან პირველი ერთი თვის საბონენტო გადასახდელს;
- აქციის პირობებით რეგისტრაციის ვადა - 2020 წლის 1 თებერვლამდე;
- აქციის პირობებით ინსტალაციის ვადა - რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან 60 დღე;
- აქციის პირობებით სარგებლობის ვადა - ჩართვიდან 30 დღე.

„მალტისოფტი“ (კომპანია)

„სერვისბოქსი“

აბონენტი

(უფლებამოსილი პირის
სახელი, გვარი, თანამდებობა)

(უფლებამოსილი პირის
სახელი, გვარი, თანამდებობა)

(სახელი, გვარი)
